ინფორმაცია 2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

1) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება კვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* კვალიფიციური სუბიექტებისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარ ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას ყოველ საათში არაუმეტეს 60 წამის ოდენობით თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის.

2) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის განაწილება არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის:

* საზოგადოებრივი მაუწყებელის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე(ბრძანება იხ. ვებ გვერდზე www.gpb.ge) არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის მაუწყებელი ეთერში უსასყიდლოდ განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას დღეში 15 წამის ოდენობით თითოეული არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის 17:00-დან 19:00-მდე საათობრივ ზოლში მცოცავი გრაფიკით.

3) წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

* წინასაარჩევნო ფასიანი რეკლამის ტარიფის შესახებ ინფორმაცია ყოველ კვირეულად განთავსდება მაუწყებლის ვებ გვერდზე www.gpb.ge

4) წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვების პირობები:

* საქართველოს ორგანული კანონის ``საქართველოს საარჩევნო კოდექსის`` 50-ე მუხლის თანახმად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა ``ფასიანი პოლიტიკური რეკლამა`` ან ``უფასო პოლიტიკური რეკლამა``. ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფას რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა. სურდოთარგმანის არარსებობის შემთხვევაში მაუწყებელი იტოვებს უფლებას არ გაუშვას სუბიექტის მიერ მოწოდებული საარჩევნო რგოლი.

* საარჩევნო სუბიექტმა წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად უნდა წარმოადგინოს გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის სახელზე ოფიციალური წერილი და სარეკლამო რგოლი მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.68.

* სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების წერილის(განაცხადის) რიგითობის მიხედვით.

* წარმოდგენილი რგოლი თუ არის რამოდენიმე და საჭიროებს მედია გეგმას, სუბიექტმა ელექტრონულ მისამართზე t.mikeladze@gpb.ge ; e.lomidze@gpb.ge უნდა გამოაგზავნოს განთავსების მედია გეგმა და შეათანხმოს სარეკლამო სამსახურთან. სარეკლამო რგოლის განთავსება მოხდება წარდგენიდან(სამუშაო დღე) მეორე სამუაშაო დღეს. ჩანაცვლების ან

განთავსებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა წრილობით უნდა გვაცნობოს ერთი სამუშაო დღით ადრე ელექტრონულ მისამართზე t.mikeladze@gpb.ge ; e.lomidze@gpb.ge

* საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი რგოლი უნდა იყოს 30 წმ ან 60 წმ, სხვა ქრონომეტრჟის შემთხვევაში სუბიექტის მიერ გამოუყენებელი საეთრო დრო არ ანაზღაურდება შეკრებითობის პრინციპით.

5) წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ტექნიკური პარამეტრები

* სარეკლამო რგოლზე უნდა იყოს მითითებული საარჩევნო სუბიექტის დასახელება ან რიგითობის ნომერი, ``უფასო ან ფასიანი პოლიტიკური რეკლამა``- შრიფტის ზომით მინიმუმ 24 PX

* სარეკლამო რგოლი უნდა იყოს TARGA ან AVI ფორმატში 720X576 რეზოლუციით CD ან DVD დისკზე,

* ხმა-mono(ორ არხზე), 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 6 დეციბალი- min 18 დეციბალი

საკონტაქტო პირი : სარეკლამო სამსახურის უფროსი მალხაზ ვარდოსანიძე 577 171730

მედია- მენეჯერი თინათინ მიქელაძე 577 10 7740